დანართი

2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და სტუდენტთა საგრანტო კონკურსის შეფასების ზოგადი კრიტერიუმები

1. ქართული ენა და ლიტერატურა

მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტს მოეთხოვება:

- ენის გამომსახველობით საშუალებათა (როგორც ლექსიკურის, ისე გრამატიკულის) ადეკვატური გამოყენება;
- სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შედგენა;
- ლიტერატურული მასალის საფუძველზე პრობლემის დასმა, გააზრება და ანალიზი;
- არგუმენტების ლოგიკურად, დამაჯერებლად ჩამოყალიბება და შესაბამისი მაგალითებით გამყარება;
- ლიტერატურული ნაწარმოების (ან მისი ნაწილის) ანალიზი, კომენტარი;
- ლიტერატურულ ნაწარმოებთა შორის მსგავსებებისა და განსხვავებების მიგნება და შედარებითი ანალიზი;
- მწერლის ენის, სტილის ძირითადი თავისებურებებისა და გამომსახველობითი საშუალებების სწორად აღქმა და გააზრება;
- ლიტერატურული ტექსტისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულების გამოვლენა.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული მასალის გამოყენების უნარი;
- ტექსტის რედაქტირების უნარი;
- ინფორმაციის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი;
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი;
- წერითი მეტყველების უნარი თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

2. ლიტერატურა

აბიტურიენტმა უნდა იცოდეს:

- საგამოცდო პროგრამაში შეტანილ ნაწარმოებთა სიუჟეტები (მოვლენები, ფაქტები და მათი თანამიმდევრობა);

- ტექსტში მოცემული ინფორმაცია პერსონაჟების შესახებ (პორტრეტი, თავგადასავალი, ავტორისეული დახასიათება და სხვ.);
- ტექსტში აღწერილ მოვლენათა ისტორიული კონტექსტი, ტოპონიმები (გეოგრაფიული სახელები);
- მწერალთა ბიოგრაფიების ძირითადი მომენტები.

აბიტურიენტს მოეთხოვება:

- ნაწარმოების თემისა და იდეის, მოტივების, ცალკეული დიალოგების, მხატვრული სახეების, სიტუაციის, კოლიზიის არსისა და პერსონაჟთა ქცევის მოტივაციის ადეკვატური გააზრება;
- ლიტერატურული ტექსტის ცალკეულ ელემენტთა და სხვადასხვა მხატვრულ ნაწარმოებს შორის კავშირების დამყარება;
- მხატვრულ ტექსტთა ლექსიკის გაგება;
- ენობრივი კონსტრუქციების სწორად აგება და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა.

3. აფხაზური ენა

საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- ენის გამომსახველობით საშუალებათა (როგორც ლექსიკურის, ისე გრამატიკულის) ადეკვატური გამოყენების უნარი;
- ლიტერატურული ნაწარმოების (ან მისი ნაწილის) გაანალიზებისა და კომენტირების უნარი;
- ინფორმაციის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი.

აბიტურიენტს მოეთხოვება:

- წაიკითხოს საშუალო სირთულის ორიგინალური ან ადაპტირებული ტექსტები - ინფორმაციული, მხატვრული, შემეცნებითი (განცხადება, რეკლამა, წერილი და სხვ.) და გაიაზროს მათი შინაარსი;
- გაიგოს ტექსტის ძირითადი აზრი;
- ადეკვატურად გამოიყენოს როგორც ენის ლექსიკური მარაგი, ისე მისი გრამატიკული სტრუქტურა.

4. ოსური ენა

საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- ენის გამომსახველობით საშუალებათა (როგორც ლექსიკურის, ისე გრამატიკულის) ადეკვატური გამოყენების უნარი;

- ლიტერატურული ნაწარმოების (ან მისი ნაწილის) გაანალიზებისა და კომენტირების უნარი;
- ინფორმაციის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი.

აბიტურიენტს მოეთხოვება:

- წაიკითხოს საშუალო სირთულის ორიგინალური ან ადაპტირებული ტექსტები - ინფორმაციული, მხატვრული, შემეცნებითი (განცხადება, რეკლამა, წერილი და სხვ.) და გაიაზროს მათი შინაარსი;
- გაიგოს ტექსტის ძირითადი აზრი;
- ადეკვატურად გამოიყენოს როგორც ენის ლექსიკური მარაგი, ისე მისი გრამატიკული სტრუქტურა.

5. უცხოური ენა

ტესტი შედგება 8 დავალებისაგან და ამოწმებს აბიტურიენტის მოსმენის, კითხვის და წერის უნარებს, ასევე ეროვნული გეგმით გათვალისწინებული ლექსიკური და გრამატიკული მასალის ცოდნას. დავალებებში შემავალი საკითხები, გარდა მე-7 და მე-8 დავალებებისა, ფასდება 1 ქულით. მე-7 დავალებაში აბიტურიენტს მოეთხოვება წერილზე მოკლე პასუხის გაცემა. ამ დავალების მაქსიმალური ქულაა 6. მე-8 დავალებაში აბიტურიენტს მოეთხოვება მინიმუმ 120 სიტყვიანი თხზულების დაწერა. ამ დავალების მაქსიმალური ქულაა 16. მთლიანი ტესტის მაქსიმალური ქულაა - 80. გამოცდის ხანგრძლივობა 2 საათი და 30 წუთია.

მისაღებ გამოცდაზე აბიტურიენტს მოეთხოვება:

- მოუსმინოს B1 სირთულის მცირე და შედარებით დიდი ზომის ტექსტებს და გაიგოს მათში მოცემული როგორც ფაქტობრივი ინფორმაცია, ისე ძირითადი აზრი.
- წაიკითხოს B1 სირთულის სხვადასხვა შინაარსის, ზომის და ფორმატის (განცხადება, რეკლამა, წერილი) ინფორმაციული ან შემეცნებითი ხასიათის ტექსტი და გაიგოს მათში მოცემული როგორც ფაქტობრივი ინფორმაცია, ისე ძირითადი აზრი;
- კონტექსტის გათვალისწინებით, გამოტოვებულ ადგილებში ჩასვას საჭირო სიტყვები;
- კონტექსტის გათვალისწინებით გამოტოვებულ ადგილებში სწორ ფორმაში ჩასვას მეტყველების სხვადასხვა ნაწილები ან ფორმაცვალებადი სიტყვები.
- დაწეროს მოკლე წერილი მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.
- დაწეროს 120-150 სიტყვიანი თხზულება მოცემულ თემასთან დაკავშირებით.
- ყველა დავალების შემთხვევაში დაიცვას მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.

6. მათემატიკა

- მათემატიკის საგამოცდო ტესტი შედგება 40 ამოცანისაგან. პირველიდან ოცდამეათის ჩათვლით ყოველი დავალების პირობას თან ახლავს 4 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. ტესტის ამ ნაწილში თითოეული დავალება ფასდებოდა 0 ან 1 ქულით. ამასთან, 1 ქულა იწერება სწორი პასუხის მითითებისათვის.
- დავალებები 31-დან - 34-მდე ფასდება 0, 1 ან 2 ქულით, დავალებები 35-დან - 37-მდე - 0, 1, 2 ან 3 ქულით, ხოლო დავალებები 38-დან - 40-მდე - 0, 1, 2, 3 ან 4 ქულით.
- უკანასკნელ 10 დავალებაში (ოცდამეთერთმეტიდან მეორმოცის ჩათვლით) დადებითი შეფასების მისაღებად მოითხოვება ამოხსნის გზის ჩაწერა.
- ოცდამეთერთმეტიდან მეორმოცის ჩათვლით თითოეული დავალების ამოხსნა დაყოფილია ეტაპებად, რომელთა გადალახვა აუცილებელია დავალების შესასრულებლად. თითოეული ეტაპის გადალახვა გამოსაცდელისაგან მოითხოვს შესაბამისი მათემატიკური უნარის ფლობას ან გარკვეული ფაქტის, ან დებულების ცოდნას.
- ეტაპი გადალახულად ითვლება, თუ შესრულებულია ამ ეტაპის შესაბამისი ინდიკატორი (ეს ინდიკატორები მოცემულია შეფასების სქემაში, რომელიც ურიგდებათ გამსწორებლებს): სწორი მსჯელობის გამოყენებით გამოთვლილია გარკვეული სიდიდე ან დადგენილია დავალების პირობაში მონაწილე სიდიდეებს შორის გარკვეული კავშირი, ამასთან ნათლადაა აღწერილი ამოხსნის გზა. ინდიკატორში მითითებული სიდიდე შეიძლება წარმოდგენილი იყოს გაუმარტივებელი ფორმით. იმ შემთხვევაში, თუ ამოხსნაში მითითებულია ინდიკატორში აღწერილი სიდიდე, მაგრამ არ არის მოყვანილი მისი მიღების გზა, ეტაპი შესრულებულად არ ჩაითვლება.
- თითოეული დავალების შეფასების სქემაში მიეთითება, თუ რომელი ეტაპის ან ეტაპების კომბინაციის გადალახვისას შეფასდება დავალების ამოხსნა ამა თუ იმ ქულით.

7. ისტორია

ისტორიის გამოცდაზე შეფასდება:

- ფაქტობრივი მასალის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი;
- ისტორიული ცნებების, ტერმინების ადეკვატური გამოყენება;
- ისტორიული მოვლენებისა და პროცესების დამახასიათებელი, არსებითი ნიშნების გამოვლენა;

- ისტორიული მოვლენებისა და პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა;
- ისტორიულ მოვლენათა/ისტორიულ წყაროთა შორის მსგავსებისა და განსხვავებების მიგნება და შედარებითი/კრიტიკული ანალიზი;
- ისტორიული რუკების კითხვა და მოპოვებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია;
- ისტორიული მოვლენების ანალიზი, მათი შეფასება. საკუთარი დამოკიდებულების არგუმენტირების უნარი (აზრის ლოგიკურად, დამაჯერებლად და თანმიმდევრულად ჩამოყალიბების უნარი).

8. გეოგრაფია

გეოგრაფიის საგამოცდო ტესტით მოწმდება:

- საპროგრამო მასალის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი;
- გეოგრაფიული ცნებების, ტერმინების ადეკვატური გამოყენება;
- გეოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების დამახასიათებელი, არსებითი ნიშნების გამოვლენა;
- გეოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა;
- გეოგრაფიულ ტექსტში, რუკაზე, ან სხვადასხვა ტიპის გეოგრაფიულ თვალსაჩინოებებზე (ფოტოები, გრაფიკები, ცხრილები და დიაგრამები) საჭირო ინფორმაციის გამოყოფა და ანალიზი;
- ერთი და იმავე ინფორმაციის სხვადასხვა სახით გამოხატვა;
- საპროგრამო მასალის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და ინფორმაციიდან დასკვნის გამოტანის უნარი;
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი.

9. ზოგადი უნარები

- ზოგადი უნარების ტესტით მოწმდება სხვადასხვა სახით წარმოდგენილი ინფორმაციის ადეკვატურად გაგების, გააზრების უნარი, ასევე, ლოგიკური მსჯელობის, მოვლენათა შორის არსებითი მიმართებების წვდომის უნარი.
- ტესტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:
- ვერბალური ნაწილი (40 დავალება) - ლოგიკა, წინადადების შევსება, წაკითხული ტექსტის გააზრება, ანალოგიები;
- მათემატიკური ნაწილი (40 დავალება) - რაოდენობრივი შედარება, ამოცანები, მონაცემთა ანალიზი, მონაცემთა საკმარისობა;

- ტესტში 80 დავალებაა. თითოეულ დავალებას ახლავს 4 ან 5 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება. შესაბამისად, ტესტის მაქსიმალური ქულაა 80;
- ტესტზე სამუშაო დროა 3 სთ. და 10 წთ. (1 სთ. და 35 წთ. ვერბალურ ნაწილზე, 1 სთ. და 35 წთ. მათემატიკურ ნაწილზე).

10. ბიოლოგია

ბიოლოგიის გამოცდაზე აბიტურიენტს მოეთხოვება:

- საგამოცდო პროგრამით განსაზღვრული ფაქტობრივი მასალის ცოდნა;
- ამ ცოდნაზე დაყრდნობით ბუნებაში მიმდინარე არსებითი პროცესების დახასიათება და ანალიზი;
- გრაფიკებიდან, სქემებიდან, ცხრილებიდან და დიაგრამებიდან საჭირო ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება მოცემული ამოცანის გადასაჭრელად.

საგამოცდო ტესტით მოწმდება:

- საპროგრამო მასალის ცოდნა და კონკრეტულ ამოცანებში ამ ცოდნის გამოყენების უნარი;
- გრაფიკებით, სქემებით, ცხრილებითა და დიაგრამებით მოწოდებული ინფორმაციის გაგებისა და ანალიზის უნარი;
- მოცემული ამოცანის პირობიდან არსებითი (პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელი) მონაცემების შერჩევის უნარი;
- ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, უცნობი, არასტანდარტული ამოცანის დამოუკიდებლად ამოხსნის უნარი.

11. ქიმია

ქიმიის გამოცდაზე აბიტურიენტს მოეთხოვება:

- საგამოცდო პროგრამით განსაზღვრული ფაქტობრივი მასალის ცოდნა;
- ამ ცოდნაზე დაყრდნობით, ბუნებაში მიმდინარე არსებითი პროცესების დახასიათება და ანალიზი;
- გრაფიკებიდან, სქემებიდან, ცხრილებიდან და დიაგრამებიდან საჭირო ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება მოცემული ამოცანის გადასაჭრელად.

საგამოცდო ტესტით მოწმდება:

- საპროგრამო მასალის ცოდნა და კონკრეტულ ამოცანებში ამ ცოდნის გამოყენების უნარი;
- გრაფიკებით, სქემებით, ცხრილებითა და დიაგრამებით მოწოდებული ინფორმაციის გაგებისა და ანალიზის უნარი;

- მოცემული ამოცანის პირობიდან არსებითი მონაცემების შერჩევის უნარი;
- ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, უცნობი, არასტანდარტული ამოცანის დამოუკიდებლად ამოხსნის უნარი.
- გამოცდის ხანგრძლივობა: 3 სთ 40 წთ.

12. ფიზიკა

- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- შესაბამისობის პოვნა: უნდა დადგინდეს შესაბამისობა ჩამონათვალში მოცემულ ორ სიდიდეს ან ობიექტს შორის. ცხრილი ივსება შემდეგნაირად: ციფრებით დანომრილი თითოეული სიდიდისა ან ობიექტისათვის მოიძებნება მისი შესაბამისი ანბანით დანომრილი სიდიდე ან ობიექტი. შედეგი მოინიშნება X-ით ცხრილის სათანადო უჯრაში;
- გასათვალისწინებელია, რომ ერთი ჩამონათვალის რომელიმე სიდიდეს ან ობიექტს შეიძლება შეესაბამებოდეს ერთი, ერთზე მეტი ან არც ერთი - მეორე ჩამონათვალიდან;
- დავალება ფასდება ცხრილის სწორად შევსებული სტრიქონების ან სწორად შევსებული სვეტების რაოდენობის მიხედვით.

ღია დავალება:

- ვლინდება საკითხის თეორიული ცოდნის გამოყენების უნარი კონკრეტული მრავალსაფეხურიანი დავალების შესრულებისას;
- მოითხოვება ამოცანის ამოხსნის ლოგიკურად მწყობრი, გააზრებული გზის წარმოჩენა;
- ფასდება ამოცანის ამოხსნის თითოეული ეტაპი.

13. სტუდენტთა საგრანტო კონკურსი

ამ გამოცდის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება:

- წაკითხულის გააზრება;
- ლოგიკური მსჯელობა;
- რაოდენობრივი მსჯელობა.

სულ ტესტში 42 დავალებაა. ყოველი დავალების პირობას თან ახლავს რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

- თითო სწორ პასუხში იწერება 1 ქულა;
- თუ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა:
- არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0.2 ქულა).

14. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

მისაღებ გამოცდაზე აბიტურიენტს მოეთხოვება:

- ფაქტობრივი მასალის ცოდნა და მისი გამოყენება;
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცნებებისა და ტერმინების ცოდნა და ადეკვატური გამოყენება;
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების ცოდნა და მიზანმიმართული გამოყენება ნამუშევრის ანალიზის დროს;
- ეპოქის, მხატვრული მიმდინარეობისა და სტილისათვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნების გამოვლენა და მათი დაკავშირება ისტორიულ, გეოგრაფიულ, ეთნიკურ, რელიგიურ, სოციალურ საფუძვლებთან;
- ხელოვნების ნაწარმოებებს შორის მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნების მიგნება და შედარებითი ანალიზი;
- შემოქმედის გამომსახველობითი ენის, სტილის თავისებურებებისა და სახვითი საშუალებების გააზრება და გარკვეული გავლენების აღმოჩენა;
- ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი, შეფასება, არგუმენტების ლოგიკურად, დამაჯერებლად ჩამოყალიბება;
- ხელოვნების ნაწარმოებისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულების გამოვლენა.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული მასალის გამოყენების უნარი;
- საკითხის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი;
- შედარებითი ანალიზისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი;
- არგუმენტირების უნარი;
- შემოქმედებითი უნარი.

15. სამოქალაქო განათლება

სამოქალაქო განათლების საგამოცდო ტესტით მოწმდება:

- საპროგრამო მასალის ცოდნა;
- სოციალურ-პოლიტიკური ცნებების, ტერმინების, კონცეფციებისა და სტრუქტურების ცოდნა და ადეკვატურად გამოყენება;
- სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესებისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების გამოვლენა, მსგავსება განსხვავებების მიგნება, შედარებითი ანალიზი;
- სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა;

- მიკერძოების, თვალსაზრისის ამოცნობის, წყაროს ანალიზის უნარი
- სხვადასხვა სახით (ტექსტი, რუკა, ფოტო, ცხრილი, დიაგრამა) წარმოდგენილი ინფორმაციის ორგანიზებისა და ანალიზის უნარი;
- სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების, პროცესების, სიტუაციების კრიტიკული ანალიზი, შეფასება;
- პრობლემის გააზრება, პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა;
- პრობლემის გადაწყვეტის პროცესში მოქალაქეობის კონცეფციების გამოყენების უნარი;
- სამოქალაქო პოზიციის შემუშავება, კრიტიკა, დაცვა;
- საკუთარი დამოკიდებულების არგუმენტირების უნარი (აზრის ლოგიკურად, დამაჯერებლად, თანმიმდევრულად ჩამოყალიბების უნარი);
- დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული არგუმენტაციის უნარი.

სამოქალაქო განათლების ტესტში 30 დავალებაა. გამოცდის ხანგრძლივობაა 3 სთ. და 10 წთ.